

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„მებაღეობის სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრი“

წესდება

Non-entrepreneurial (non-commercial) Legal Entity
„Horticultural Training and Demonstration Center“

Charter

თბილისი, საქართველო

2022 წლის 17 მარტი

Tbilisi, Georgia

17th of March, 2022

Charter of Horticultural Training and Demonstration Center

„მებაღეობის სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრის“ წესდება

1. Status and Scope of Activities

1. იურიდიული სტატუსი და საქმიანობის სფერო

1.1 N(N)LE Horticultural Training and Demonstration Center (hereinafter the “**Organization**”) is a Non-entrepreneurial (non-commercial) Legal Entity organized under the Civil Code of Georgia, operating in accordance with the Laws of Georgia and this Charter.

1.1 ა(ა)იპ “მებაღეობის სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრი“ (შემდგომში, „**ორგანიზაცია**“) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

1.2 The Organization shall be considered organized upon its registration with the Registry of Entrepreneurs and Non-entrepreneurial (non-commercial) Legal Entities under the National Agency of Public Registry and shall be incorporated for indefinite term;

1.2 *ორგანიზაცია* დაფუძნებულად ითვლება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში მისი რეგისტრაციის მომენტიდან და დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით.

1.3 Full name of the Organization shall be:

1.3 *ორგანიზაციის* სრული სახელწოდებაა:

In English: **Non-entrepreneurial (non-commercial) Legal Entity Horticultural Training and Demonstration Center;**

ინგლისურად: **Non-entrepreneurial (non-commercial) Legal Entity Horticultural Training and Demonstration Center;**

In Georgian: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მებაღეობის სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრი“.

ქართულად: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მებაღეობის სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრი“.

1.4 Legal form of the Organization shall be Non-entrepreneurial (non-commercial) Legal Entity.

1.4 *ორგანიზაციის* სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

1.5 Legal address of the Organization shall be: Village Vartsikhe, Tchintcharauli, Baghdati District, Georgia (cadastral code 30.01.39.017)

1.5 *ორგანიზაციის* იურიდიული მისამართია: საქართველო, ბაღდათის რაიონი, სოფელი ვარციხე, ჭინჭარაული (საკადასტრო კოდი 30.01.39.017)

- | | | | |
|-----------|---|-----------|---|
| 1.6 | E-mail address of the Organization shall be: Marine.Egutia@iaz.ge | 1.6 | <i>ორგანიზაციის</i> ელექტრონული ფოსტის მისამართია: Marine.Egutia@iaz.ge |
| 1.7 | The Organization is entitled to acquire rights and undertake obligations, execute contracts, be claimant or respondent in court and in arbitration, incorporate branches as well as participate in activities which do not contradict laws of Georgia and are related to its objectives. | 1.7 | <i>ორგანიზაცია</i> უფლებამოსილია, შეიძინოს უფლებები და იკისროს ვალდებულებები, გააფორმოს ხელშეკრულებები, გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ სასამართლოში და არბიტრაჟში, დააარსოს ფილიალები, ასევე განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და დაკავშირებულია მის მიზნებთან. |
| 1.8 | The Organization is entitled to have seal, stamp, its own property (movable and immovable), accounts in banking institutions in Georgia and abroad, and other requisites of a legal entity. | 1.8 | <i>ორგანიზაცია</i> უფლებამოსილია, ჰქონდეს ბეჭედი, შტამპი, საკუთარი ქონება (მოძრავი და უძრავი), ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები. |
| 1.9 | The Organization is a membership based non-entrepreneurial (non-commercial) legal entity which is independent from the status of its founders, members, director(s) and representative(s). The liability of the Organization is limited only to its assets. The founders, members, director(s) and representative(s) are not liable for the obligations of the Organization and the Organization is not liable for the obligations of the founders, members, director(s), and/or representative(s). | 1.9 | <i>ორგანიზაცია</i> წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც დამოუკიდებელია მისი დამფუძნებლების, წევრების, დირექტორ(ებ)ის და წარმომადგენლ(ებ)ის მდგომარეობისგან. <i>ორგანიზაციის</i> პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. დამფუძნებლები, წევრები, დირექტორ(ებ)ი და წარმომადგენელი/წარმომადგენლები არ აგებენ პასუხს <i>ორგანიზაციის</i> ვალდებულებებისთვის, ხოლო <i>ორგანიზაცია</i> პასუხს არ აგებს დამფუძნებლების, წევრების, დირექტორ(ებ)ის და/ან წარმომადგენლის/წარმომადგენლების ვალდებულებებზე. |
| 1.10 | The Organization shall be independent in disposal of its assets and resources. | 1.10 | <i>ორგანიზაცია</i> საკუთარ ქონებასა და სახსრებს განკარგავს დამოუკიდებლად. |
| 2. | Objectives | 2. | მიზნები |
| 2.1 | The Organization is an educational and demonstration center in the field of agriculture, , objectives of which include: | 2.1 | <i>ორგანიზაცია</i> წარმოადგენს საგანმანათლებლო და სადემონსტრაციო ცენტრს აგრარულ დარგში, რომლის მიზნებიც მოიცავს შემდეგს: |

- Improvement of farmers' knowledge and skills;
 - Improvement of quality of produced goods by farmers and increase of effectiveness of production means;
 - Increase of accessibility for farmers to different greenhouse and agricultural technology suppliers;
 - Increase of accessibility for farmers to various agri input suppliers;
 - Increase of accessibility for farmers to local and international technological consultancy services;
 - Increase of accessibility for farmers to legal and/or financial consultancy services;
 - Facilitation of the demonstration of products of local and international companies supplying various greenhouse and agricultural technologies and agri input;
 - Training of sales staff and distributors of local and international companies supplying various greenhouse and agricultural technologies and agri input.
- ფერმერთა ცოდნისა და უნარების ამაღლება;
 - ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება და წარმოების საშუალებების ეფექტურობის გაზრდა;
 - ფერმერთათვის სასათბურე და სხვა აგრარული ტექნოლოგიების მომწოდებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
 - ფერმერთათვის აგრო პროდუქტების სხვადასხვა მომწოდებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
 - ფერმერთათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა ადგილობრივ და საერთაშორისო ტექნოლოგიურ საკონსულტაციო მომსახურებაზე;
 - ფერმერთათვის იურიდიულ და/ან ფინანსურ საკონსულტაციო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
 - სხვადასხვა სასათბურე და აგრარული ტექნოლოგიების და აგრო პროდუქტების მიმწოდებელი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების პროდუქციის დემონსტრირების ხელშეწყობა;
 - სხვადასხვა სასათბურე და აგრარული ტექნოლოგიებისა და აგრო პროდუქტების მიმწოდებელი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების გაყიდვების პერსონალისა და დისტრიბუტორების სწავლება/ გადამზადება.

3. Activities

3.1 In order to fulfill the objectives set forth in Article 2.1 above, the Organization may be engaged in following activities:

3. საქმიანობა

3.1 ზემოთ მოცემულ 2.1 პუნქტში აღწერილი მიზნების მისაღწევად, ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

- Conducting trainings for farmers by representatives of various educational institutions, Georgian state and private universities, vocational training centers and international educational institutions;
- Arranging exhibition / demonstration spaces for companies supplying various greenhouse and agricultural technologies and agri input;
- Connecting local farmers with companies providing various greenhouse and agricultural technologies and agri input and ensuring easy access for farmers to their products;
- All other activities allowed under the laws of Georgia which may be expedient and/or useful for fulfillment of the objectives of the Organization;
- სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების, საქართველოს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების, პროფესიული სწავლების ცენტრებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების მიერ ფერმერთათვის ტრენინგების ჩატარება;
- სხვადასხვა სასათბურე და აგრარული ტექნოლოგიებისა და აგრო პროდუქტების მიმწოდებელი კომპანიებისათვის საგამოფენო / სადემონსტრაციო სივრცეების მოწყობა;
- ადგილობრივი ფერმერების დაკავშირება სხვადასხვა სასათბურე და აგრარული ტექნოლოგიებისა და აგრო პროდუქტების მიმწოდებელ კომპანიებთან და ფერმერთათვის მათ პროდუქციაზე მარტივი წვდომის უზრუნველყოფა;
- ყველა სხვა საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული საქმიანობა, რომელიც შესაძლოა ხელსაყრელი და/ან სასარგებლო იყოს ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად;

3.2 The Organization may be engaged in auxiliary entrepreneurial activities, provided that profit received as a result of such activities is used to promote its purposes and objectives. Distribution of profit among the founders and/or members shall be prohibited.

3.2 ორგანიზაცია უფლებამოსილია, ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, იმ პირობით, რომ ამგვარი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება მოხმარდება მისი მიზნების რეალიზაციას. მოგების განაწილება დამფუძნებლებს და/ან წევრებს შორის დაუშვებელია.

3.3 Alienation of the assets of the Organization is allowed if such alienation serves its activities, organizational development, promotes the achievement of its objectives or serves charitable purposes.

3.3 ორგანიზაციის ქონების გასხვისება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი გასხვისება ემსახურება მის საქმიანობას, ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

<p>4. Founder, Membership and Membership Fee</p>	<p>4. დამფუძნებელი, წევრობა და საწევრო შენატანი</p>
<p>4.1 Founder of the Organization is:</p> <ul style="list-style-type: none"> • Imereti Agro Zone LLC – a limited liability company, organized and existing under the laws of Georgia, registered under Identification Number: 405231020, with its legal address at 6, Marshal Gelovani Avenue, Saburtalo District, Tbilisi, Georgia (“IAZ”); 	<p>4.1 <i>ორგანიზაციის</i> დამფუძნებელი არის:</p> <ul style="list-style-type: none"> • შპს „იმერეთის აგრო ზონა“ – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405231020, იურიდიული მისამართით: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მარშალ გელოვანის გამზ., N6 („<i>იმერეთის აგრო ზონა</i>“);
<p>4.2 The Organization shall have four classes of members: (i) Founder; (ii) Class A Members; (iii) Class B Members; and (iv) Class C Members. Executive Board may from time to time create additional member classes or revoke existing classes at its discretion. The Executive Board may also grant an honorary member status to certain persons, based on their value to the Organization (the “Honorary Members”).</p>	<p>4.2 <i>ორგანიზაციაში</i> არსებობს წევრების ოთხი კლასი: (i) <i>დამფუძნებელი</i> (ii) „A“ კლასის წევრები; (iii) „B“ კლასის წევრები; და (iv) „C“ კლასის წევრები. აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, დროდადრო შექმნას წევრების დამატებითი კლასები ან გააუქმოს არსებული კლასები საკუთარი შეხედულებისამებრ. აღმასრულებელი საბჭო ასევე უფლებამოსილია, გარკვეულ პირებს მიანიჭოს საპატიო წევრის სტატუსი, <i>ორგანიზაციისთვის</i> მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით („<i>საპატიო წევრები</i>“).</p>
<p>4.3 Members of specific classes shall have different rights and obligations, including in terms of payment of the Membership Fee.</p>	<p>4.3 კონკრეტული კლასის წევრებს აქვთ განსხვავებული უფლებები და ვალდებულებები, მათ შორის, <i>საწევრო შენატანის</i> გადახდის კუთხით.</p>
<p>4.4 The Founder, for 3 (three) years from the date of incorporation of the Organization, shall decide on certain material issues. Following the expiry of the mentioned 3-year term, all rights, obligations and duties of the Founder shall be transferred to the General Meeting.</p>	<p>4.4 <i>დამფუძნებელი, ორგანიზაციის</i> დაფუძნების თარიღიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში გადაწყვეტილებას იღებს გარკვეულ მნიშვნელოვან საკითხებზე. ხსენებული 3 წლიანი ვადის გასვლის შემდგომ, ყველა უფლება, ვალდებულება და მოვალეობა გადაეცემა საერთო კრებას.</p>
<p>4.4.1 The Founder shall be entitled to:</p>	<p>4.4.1 <i>დამფუძნებელი</i> უფლებამოსილია:</p>

- | | |
|---|--|
| <p>(i) participate in the General Meeting with a right to vote;</p> <p>(ii) adopt and sign the first charter of the Organization, also appoint first <i>Executive Director</i> for the term of 2 (two) years.;</p> | <p>(i) ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაში;</p> <p>(ii) მიიღოს და ხელი მოაწეროს <i>ორგანიზაციის</i> პირველ წესდებას, ასევე დანიშნოს პირველი <i>აღმასრულებელი დირექტორი</i> 2 (ორი) წლის ვადით;</p> |
| <p>(iii) nominate 3 (three) members of the Executive Board, during the first 3 (three) years from the date of incorporation of the Organization, as well as request dismissal of the Executive Board member(s) appointed upon its nomination</p> | <p>(iii) წარადგინოს აღმასრულებელი საბჭოს 3 (სამი) წევრის კანდიდატურა, <i>ორგანიზაციის</i> დაფუძნების თარიღიდან პირველი 3 (სამი) წლის განმავლობაში. დამფუძნებელი უფლებამოსილია მოითხოვოს მისი წარდგინებით დანიშნული აღმასრულებელი საბჭოს წევრი(ებ)ის გათავისუფლება;</p> |
| <p>(iv) nominate 1 (one) member of the Academic Board out of the Executive Board members, during the first 3 (three) years from the date of incorporation of the Organization;</p> | <p>(iv) აღმასრულებელი საბჭოს წევრებიდან წარადგინოს აკადემიური საბჭოს 1 (ერთი) წევრის კანდიდატურა, <i>ორგანიზაციის</i> დაფუძნების თარიღიდან პირველი 3 (სამი) წლის განმავლობაში;</p> |
| <p>(v) nominate Executive Director, during the first 3 (three) years from the date of incorporation of the Organization;</p> | <p>(v) <i>ორგანიზაციის</i> დაფუძნების თარიღიდან პირველი 3 (სამი) წლის განმავლობაში წარადგინოს აღმასრულებელი დირექტორის კანდიდატურა;</p> |
| <p>(vi) request and receive information regarding activities of the Organization; and</p> | <p>(vi) მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია <i>ორგანიზაციის</i> საქმიანობის შესახებ; და</p> |
| <p>(vii) carry out any other actions as may be required from the Founder for the proper operation of the Organization.</p> | <p>(vii) განახორციელოს ნებისმიერი სხვა ქმედება, რაც შესაძლოა საჭირო იყოს <i>დამფუძნებლისგან</i> <i>ორგანიზაციის</i> სათანადოდ ფუნქციონირებისთვის.</p> |
| <p>4.4.2 The Founder shall pay the Founder’s Fee in accordance with rules approved by the Executive Board.</p> | <p>4.4.2 <i>დამფუძნებელმა</i> უნდა გადაიხადოს <i>შენატანი</i>, <i>აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად</i>.</p> |
| <p>4.5 Class A Members may be any legal or natural person supplying agri input, greenhouse and agricultural technologies and/or any products/services related to the purposes/objectives of the Organization, wishes to participate in activities of the Organization and pays Class A Membership Fee in accordance with the rules approved by the Execution Board. The person may obtain Class A Member status</p> | <p>4.5 „A“ კლასის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს აგრო პროდუქტის, სასათბურე და აგრარული ტექნოლოგიების და/ან <i>ორგანიზაციის</i> მიზნებთან დაკავშირებული ნებისმიერი პროდუქტის/მომსახურებების მიწოდებას, სურს მონაწილეობა მიიღოს <i>ორგანიზაციის</i> საქმიანობაში და გადაიხდის „A“ კლასის <i>საწევრო შენატანს</i> აღმასრულებელი საბჭოს მიერ</p> |

by the respective decision of the Executive Board.

დამტკიცებული წესების შესაბამისად. პირს შეუძლია მოიპოვოს „A“ კლასის წევრის სტატუსი აღმასრულებელი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

4.5.1 Class A Members are entitled to:

4.5.1 „A“ კლასის წევრები უფლებამოსილნი არიან:

- (i) suggest to the Academic Board ideas for necessary trainings;
- (ii) suggest new programs and/or provide feedback for improvement of the existing ones;
- (iii) review and analyze information provided by the Class B Members;
- (iv) inform Class B Members regarding important decisions and actions;
- (v) participate in the General Meeting with a right to vote;
- (vi) nominate 2 (two) members of the Executive Board during the first 3 (three) years from the incorporation of the Organization, as well as request dismissal of the Executive Board member appointed upon their nomination; and
- (vii) carry out any other actions as may be required from the Class A Members for the proper operation of the Organization.

- (i) შესთავაზონ აკადემიურ საბჭოს იდეები საჭირო ტრენინგებთან დაკავშირებით;
- (ii) მოახდინონ ახალი პროგრამების შეთავაზება და/ან უკუკავშირის მიწოდება არსებული პროგრამების გაუმჯობესების მიზნით;
- (iii) განიხილონ და გააანალიზონ „B“ კლასის წევრების მიერ მიწოდებული ინფორმაცია;
- (iv) მიაწოდონ „B“ კლასის წევრებს ინფორმაცია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და ქმედებების შესახებ;
- (v) მონაწილეობა მიიღონ საერთო კრებაში ხმის უფლებით;
- (vi) *ორგანიზაციის* დაფუძნების თარიღიდან პირველი 3 (სამი) წლის განმავლობაში წარადგინონ აღმასრულებელი საბჭოს 2 (ორი) წევრის კანდიდატურა, ასევე მოითხოვონ მათი წარდგინებით დანიშნული აღმასრულებელი საბჭოს წევრის გათავისუფლება; და
- (vii) განახორციელონ ნებისმიერი სხვა ქმედება, რაც შესაძლოა საჭირო იყოს „A“ კლასის წევრებისგან *ორგანიზაციის* სათანადოდ ფუნქციონირებისთვის.

4.5.2 Class A Members shall pay Class A Membership Fee in accordance with the rules approved by the Executive Board.

4.5.2 „A“ კლასის წევრებმა უნდა გადაიხადონ „A“ კლასის საწევრო შენატანი აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად.

4.6 Class B Members may be any legal or natural person, which intends to participate in the activities of the Organization without payment of any membership fees. Such person shall obtain the Class B Member status by the respective decision of the Executive Board.

4.6 „B“ კლასის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც განზრახული აქვს, მონაწილეობა მიიღოს *ორგანიზაციის* საქმიანობაში, რაიმე საწევრო შენატანის გადახდის გარეშე. აღნიშნული პირი „B“ კლასის წევრის სტატუსს მოიპოვებს

<p>4.6.1 Class B Members are entitled to:</p>	<p>აღმასრულებელი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით. 4.6.1 „B“ კლასის წევრები უფლებამოსილნი არიან:</p>
<p>(i) attend the General Meeting and participate in discussions without a right to vote;</p>	<p>(i) დაესწრონ საერთო კრებას და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში ხმის უფლების გარეშე;</p>
<p>(ii) inform the General Meeting regarding the needs and/or problems of the Class B Members seeking solutions for the farmers;</p>	<p>(ii) აცნობონ საერთო კრებას „B“ კლასის წევრების საჭიროებების და/ან პრობლემების შესახებ, ფერმერებისთვის შესაძლო გამოსავლის მოძიების მიზნით;</p>
<p>(iii) inform farmer communities regarding decisions of General Meeting and activities of the Organization.</p>	<p>(iii) აცნობონ ფერმერთა გაერთიანებებს საერთო კრების გადაწყვეტილებებისა და ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.</p>
<p>4.7 Class C Members may include various universities, vocational training centers and other representatives of the academic field.</p>	<p>4.7 „C“ კლასის წევრები შესაძლოა იყვნენ სხვადასხვა უნივერსიტეტები, პროფესიული სწავლების ცენტრები და აკადემიური სფეროს სხვა წარმომადგენლები.</p>
<p>4.7.1 Class C Members are entitled to:</p>	<p>4.7.1 „C“ კლასის წევრები უფლებამოსილნი არიან:</p>
<p>(i) attend the General Meetings and participate in the discussions without a right to vote;</p>	<p>(i) დაესწრონ საერთო კრებებს და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში ხმის უფლების გარეშე;</p>
<p>(ii) nominate 3 (three) members of the Academic Board on the General Meeting;</p>	<p>(ii) საერთო კრებაზე წარადგინონ აკადემიური საბჭოს 3 (სამი) წევრის კანდიდატურა;</p>
<p>(iii) vote on the General Meetings solely in relation to the appointment of the Academic Board Members.</p>	<p>(iii) საერთო კრებაზე ხმა მისცენ მხოლოდ აკადემიური საბჭოს წევრების დანიშვნასთან დაკავშირებით.</p>
<p>4.7.2 Class C Members shall pay Class C Membership Fee in accordance with the rules approved by the Executive Board.</p>	<p>4.7.2 „C“ კლასის წევრებმა უნდა გადაიხადონ „C“ კლასის საწევრო შენატანი აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად.</p>
<p>4.8 Membership fee varies based on member classes. Members shall pay membership fee in a form of monetary or in-kind contribution. Monetary value of the in-kind contributions shall be determined by an internationally recognized independent auditor. The audit report shall be provided by the respective member.</p>	<p>4.8 საწევრო შენატანი განსხვავდება წევრთა კლასების მიხედვით. წევრებმა უნდა გადაიხადონ საწევრო შენატანი ფულადი ან არაფულადი შენატანის სახით. არაფულადი შენატანების ფულადი ღირებულება განისაზღვრება საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. აუდიტის დასკვნას წარადგენს შესაბამისი წევრი.</p>

- 4.9 Classes and amount for the Membership Fee, as well as the payment terms and conditions, are determined by the rules and criteria approved by the Executive Board.
- 4.9 *საწევრო შენატანის კლასები და ოდენობა, ასევე გადახდის წესი და პირობები განისაზღვრება აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესებისა და კრიტერიუმების საფუძველზე*
5. **Admission, Withdrawal, Suspension and Termination of Membership**
5. **წევრად მიღება, გასვლა, წევრობის შეჩერება და შეწყვეტა**
- 5.1 Decision on acceptance of new Class A, Class B or Class C members shall be adopted by the Executive Board in accordance with the approved rules. Registry of members of the Organization shall be maintained by the Executive Director.
- 5.1 „A“ კლასის, „B“ კლასისა და „C“ კლასის ახალი წევრების მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს აღმასრულებელი საბჭო, დამტკიცებული წესების შესაბამისად. ორგანიზაციის წევრთა რეესტრს აწარმოებს აღმასრულებელი დირექტორი.
- 5.2 Membership may be terminated or suspended in accordance with the rules approved by the Executive Board. Membership may be terminated in case of (i) a voluntary withdrawal by a member; (ii) expulsion of a member; and (iii) suspension of membership for more than 2 (two) months.
- 5.2 წევრობა შესაძლოა შეწყდეს ან შეჩერდეს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად. წევრობა შესაძლოა შეწყდეს (i) წევრის მიერ ნებაყოფლობითი გასვლის შემთხვევაში; (ii) წევრის გარიცხვით; და (iii) წევრობის 2 (ორი) თვეზე მეტი ვადით შეჩერების შემთხვევაში.
- 5.3 A member of the Organization shall be entitled to voluntarily withdraw the membership based on a written application submitted to the Executive Board and in accordance with the rules approved by the Executive Board.
- 5.3 ორგანიზაციის წევრი უფლებამოსილია, ნებაყოფლობით გავიდეს წევრობიდან აღმასრულებელი საბჭოსთვის წარდგენილი წერილობითი განაცხადის საფუძველზე და აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად.
6. **Governing Bodies**
6. **მმართველი ორგანოები**
- 6.1 The Organization shall be governed by the following bodies: (a) Founder (b) General Meeting (c) Executive Board; (d) Academic Board; and (e) Executive Director(s).
- 6.1 ორგანიზაციის მართვა ხორციელდება შემდეგი ორგანოების მიერ: (ა) დამფუძნებელი (ბ) საერთო კრება; (გ) აღმასრულებელი საბჭო; (დ) აკადემიური საბჭო; და (ე) აღმასრულებელი დირექტორ(ებ)ი.
7. **Founder**
7. **დამფუძნებელი**
- 7.1 The Founder shall decide on the certain material issues set forth in article 7.2. The Founder shall be active and carry out its functions for 3 (three) years from the date of incorporation of the Organization. Following the expiry of the
- 7.1 დამფუძნებელი გადაწყვეტილებას იღებს 7.2 პუნქტით გათვალისწინებულ გარკვეულ მნიშვნელოვან საკითხებზე. დამფუძნებელი უფლებამოსილებას განახორციელებს და თავის ფუნქციებს შეასრულებს

mentioned 3-year term, all rights, obligations and duties of the Founder shall be transferred to the General Meeting.

ორგანიზაციის დაფუძნების თარიღიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში. ხსენებული 3 წლიანი ვადის გასვლის შემდგომ, დამფუძნებლის ყველა უფლება, ვალდებულება და მოვალეობა გადაეცემა საერთო კრებას.

7.2 Without prejudice to Article 7.1 above, the Founder shall be entitled to decide on following issues:

7.2 ზემოთ მოცემული 7.1 პუნქტის შეზღუდვის გარეშე, დამფუძნებელი უფლებამოსილია, გადაწყვეტილება მიიღოს შემდეგ საკითხებზე:

7.2.1 adoption, amendment, restatement of the Charter and/or approval of the new edition thereof, also appointment of the first *Executive Director*;

7.2.1 წესდების მიღება, მასში ცვლილებების შეტანა და/ან მისი ახალი რედაქციის დამტკიცება, ასევე პირველი აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა;

7.2.2 change of the Organization's main objectives;

7.2.2 ორგანიზაციის ძირითადი მიზნების ცვლილება;

7.2.3 selection of the candidate Executive Director to be nominated to the Executive Board;

7.2.3 აღმასრულებელი საბჭოსთვის წარსადგენი აღმასრულებელი დირექტორის კანდიდატურის შერჩევა;

7.2.4 selection of the candidate Executive Board members to be nominated to the General Meeting;

7.2.4 საერთო კრებისთვის წარსადგენი აღმასრულებელი საბჭოს წევრების კანდიდატურების შერჩევა;

7.2.5 selection of the candidate Academic Board member out of the Executive Board members to be nominated to the General Meeting;

7.2.5 აღმასრულებელი საბჭოს წევრებიდან აკადემიური საბჭოს წევრის კანდიდატურის შერჩევა, რომელიც წარდგენილ უნდა იქნას საერთო კრებისათვის;

7.2.6 Liquidation and reorganization of the Organization.

7.2.6 ორგანიზაციის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია.

7.3 For the avoidance of any doubts, following the expiry of the 3-year term from the incorporation of the Organization, all rights, obligations and duties of the Founder shall be transferred to the General Meeting.

7.3 ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, ორგანიზაციის დაფუძნებიდან 3 წლიანი ვადის გასვლის შემდგომ დამფუძნებლის ყველა უფლება, ვალდებულება და მოვალეობა გადაეცემა საერთო კრებას.

8. General Meeting

- 8.1 The General Meeting may be ordinary or extraordinary. Ordinary General Meeting shall be held at least once a year. Extraordinary General Meeting may be held at any time depending on the interests of the Organization. The General Meeting may be attended by each member of the Organization. Founder and Class A Members shall be entitled to vote on all matters to be decided by the General Meeting. Class C Members shall be entitled to vote solely in relation to the appointment of the Academic Board members. Class B Members shall have no right to vote.
- 8.2 General Meeting shall be duly authorized to transact business if the Founder and 30% of the Class A Members are present/represented.
- 8.3 General Meeting which is convened to appoint the Academic Board members, shall be quorate if the Founder, 30% of the Class A Members and 30% of the Class C Members are present/represented.
- 8.4 Decisions on the General Meeting shall be adopted by simple majority of the votes of the attendees.
- 8.5 The meetings of the General Meeting shall be chaired by the chairman elected from the attendees by simple majority of votes. Resolutions adopted by the meeting shall be recorded in minutes which shall be signed by the chairman. Other members attending the meeting may also sign the minutes.
- 8.6 The General Meeting shall be convened by the Executive Director, Founder, Executive Board and/or 1/3 of the Class A Members by way of sending a convocation notice to the members in writing or electronic form (to the e-mail

8. საერთო კრება

- 8.1 საერთო კრება შესაძლოა იყოს მორიგი ან რიგგარეშე. მორიგი საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. რიგგარეშე საერთო კრება ტარდება ნებისმიერ დროს *ორგანიზაციის* ინტერესებიდან გამომდინარე. *ორგანიზაციის* თითოეული წევრი უფლებამოსილია დაესწროს საერთო კრებას. *დამფუძნებელსა* და „A“ კლასის წევრებს აქვთ ხმის მიცემის უფლება საერთო კრების მიერ გადასაწყვეტ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. „C“ კლასის წევრებს ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ აკადემიური საბჭოს წევრების დანიშვნასთან დაკავშირებით. „B“ კლასის წევრებს არ აქვთ ხმის მიცემის უფლება.
- 8.2 საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება/მასზე წარმოდგენილია *დამფუძნებელი* და „A“ კლასის წევრთა არანაკლებ 30%.
- 8.3 საერთო კრება, რომელიც მოწვეულია აკადემიური საბჭოს წევრების დანიშვნის მიზნით, გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება/მასზე წარმოდგენილია *დამფუძნებელი*, „A“ კლასის წევრთა არანაკლებ 30% და „C“ კლასის წევრთა არანაკლებ 30%.
